ცვლილება №1 (№13)

დაბა სტეფანწმინდა **24.03.2023 წ.**

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 13 (10. 03. 2023 წ.)

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ მიერ, ხელსაქმის წრის ფუნქციონირების დაწყების მიზნით, სხვადასხვა სახის ქსოვილებისა და სამუშაო მასალის შესყიდვა.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2 173.50 (ორი ათას ას სამოცდაცამეტ ლარსა და ორმოცდაათ თეთრს) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

დამკვეთი: ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“, წარმოდგენილი დირექტორის, ანა ხუციშვილის სახით.
შემსრულებელი: ი/მ ნინო ქადაგიშვილი.

2023 წლის 23 მარტს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრში“ (შემსყიდველი) შემოვიდა ი/მ ნინო ქადაგიშვილის (მიმწოდებელი) განცხადება (ცენტრში რეგისტრაციის თარიღი: 23/03/2023; N19/1022308212-17), სადაც ის აღნიშნავს, რომ მიმწოდებელმა ინვოისის მომზადებისას, ტექნიკური შეცდომის გამო, არასწორად განსაზღვრა საქონლის ჯამური ღირებულება. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N13 (10.03.2023) გაფორმდა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, თანხა შეცდომითაა ასახული ასევე ხელშეკრულებაშიც. კერძოდ, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არა 2 173.50 (ორი ათას ას სამოცდაცამეტ ლარსა და ორმოცდაათ თეთრს) ლარს, არამედ 2 281.50 (ორი ათას ორას ოთხმოცდაერთი ლარსა და ორმოცდაათ თეთრს) ლარს. ცენტრის შესაბამისი სპეციალისტის მიერ გადამოწმდა ინვოისის სისწორე და აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია ხელშეკრულების ცვლილება შესაბამის ნაწილებში.
ამასთან, ცენტრის იურისტის მოხსენებითი ბარათის (N17-1022308332; 24/03/2023) საფუძველზე, მართებული იქნება შეიცვალოს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველის თანახმად, დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ოდენობის გაზრდა არაუმეტეს 10%, ხოლო მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილება დასაშვებია მხოლოდ 0.1%-ით. ეს გარემოება ზიანს აყენებს მხარეების ინტერესებს და მათ ხელს უშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებაში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია,

შეიცვალოს ასევე ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი და ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, მისი ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 10%-ისა.

ვმოქმედებთ რა, ჩვენ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N13 ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და მე-11 მუხლის 11.3 პუნქტის საფუძველზე, დამკვეთი და შემსრულებელი მივიდნენ დასკვნამდე, შევიტანოთ ცვლილება ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრსა“ და ი/მ ნინო ქადაგიშვილს შორის მიმდინარე წლის 10 მარტს გაფორმებულ N13 ხელშეკრულებაში შემდნაირად:

1. **ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

„10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში, მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს“.“

2. **ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

„3.2. დანაყოფის კოდები: CPV – 19245000 – 78.00 ლ; CPV – 19442100 – 200.00 ლ; CPV – 19442200 – 240.00 ლ; CPV – 19430000 – 138.00 ლ; CPV – 30192700 – 200.00 ლ; CPV – 39227100 – 171.00 ლ; CPV – 39293500 – 300.00 ლ; CPV – 39298000 – 175.00 ლ; CPV – 39561100 – 528.00 ლ; CPV – 39561000 – 251.50 ლ.“

3. **ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„4.1. საქონლის ღირებულება შეადგენს 2 281.50 (ორი ათას ორას ოთხმოცდაერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.“

საფუძველი: ი/მ ნინო ქადაგიშვილის განცხადება (ცენტრში რეგისტრაციის თარიღი: 23/03/2023; N19/1022308212-17), ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ანა ხუციშვილის №17-1022308233 (23.03.2023) მოხსენებითი ბარათი და ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ იურისტის ნორა მაისურაძის №17-1022308332 (24.03.2023) მოხსენებითი ბარათი.

ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.

<u>**დამკვეთი**</u>

ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ დირექტორი **ანა ხუციშვილი**

<u>**შემსრულებელი**</u>

ი/მ ნინო ქადაგიშვილი **ნინო ქადაგიშვილი**